თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

30.05.2023

N 2291

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

უფროსს თ. ფიცხელაურს

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
"08" 06 2023 წ.
№ 5230

ქალბატონო თამარ,

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

მოგეხსენებათ, სს „საქართველოს რკინიგზა"-მ 2023 წლის 13 იანვარს №197 წერილით მიმართა სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ს თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში არსებული, მოლითი-ხაშურის სარკინიგზო უბნის (მათ შორის სოფ.ზვარეს მიმდებარედ დაგეგმილი კმ 20+760-23+060 მონაკვეთი) პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით.

აღნიშნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (გზშ) განმეორებით დასაზუსტებელია ტყის სტატუსის შეწყვეტას დაქვემდებარებული ფართობების თაობაზე ინფორმაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაცია წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტს (იხ.საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2731 განკარგულება), მისი მიზანია მოძრაობის მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გამტარუნარიანობის გაზრდა, მგზავრობის დროის შემცირება და მაგისტრალის საოპერაციო პირობების გაუმჯობესება, ეს უკანასკნელი ემსახურება როგორც სს „საქართველოს რკინიგზის" ეკონომიკურ განვითარებას, ასევე ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას. ამასთანავე, ყურადსაღებია, რომ სს „საქართველოს რკინიგზა"-მ 2021 წლის ივნისის თვეში გამოუშვა 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის მწვანე ობლიგაციები (ე.წ „Green Bond"), რომლის ალოკაციაც უნდა განხორციელდეს მწვანე პროექტებში და მათ შორის უმეტესწილად ზემოხსენებულ მოდერნიზაციის პროექტზე

წინამდებარე წერილით წარმოდგენილ მონაკვეთებზე მდებარეობს სარკინიგზო ხიდის საპროექტო ბურჯები, რომლის აშენებაც საჭირო გახდა ე.წ. ზვარეს მეწყერის შემოვლითი ლიანდაგის არსებობისა და შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების უზრუნველსაყოფად. დანართებში წარმოდგენილი ლოკაციები როგორც აღინიშნა, უშუალოდ სარკინიგზო

ინფრასტრუქტურის (ხიდის) განუყოფელი ნაწილი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ პროექტის განხორციელების შემდგომ, ეს ტერიტორიები უნდა დარეგისტრირდეს სს „საქართველოს რკინიგზის" ბალანსზე/კერძო საკუთრებაში ხაზობრივი ნაგებობის სახით. ხსენებულ ტერიტორიებზე დაგეგმილია რკინა-ბეტონის კონტრუქციების მოწყობა და მოცემული ფართობი ტყის ეკოსისტემის ნაწილი აღარ იქნება, შესაბამისად საქმიანობა სპეციალური ტყითსარგებლობის ფარგლებში ვერ განხორციელდება. აღსანიშნავია რომ წარმოდგენილ ფართობებზე არ არის წარმოდგენილი ხეები/მცენარეები. ასევე გასათვალისწინებელია ფართობის სიმცირეც, რაც იმას ნიშნავს, რომ გარემოზე მნიშვნელოვანი სახის უარყოფით ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. გარდა აღნიშნულისა, ხსენებული ხიდის ბურჯები მდებარეობს მდინარის კალაპოტში და როგორც რკინიგზის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტი, ოპერირების ფაზაზე რკინიგზა უზრუნველყოფს მის მოვლა-პატრონობის ოპერაციებს, გაწმენდას, წარეცხვისგან დაცვას, საჭიროებისამებრ გამაგრებას, ვიზუალურ მოწესრიგებასა და ა.შ. შესაბამისად, აუცილებელი იქნება მისი და ირგვლივ არსებული მონაკვეთების პერიოდული ინსპექტირება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, როგორც ზემოთ ითქვა, ეს მონაკვეთები უნდა წარმოადგენდეს სს „საქართველოს რკინიგზის" საკუთრებას, ეს ასევე კიდევ იმით აიხსნება, რომ როგორც პრაქტიკაში, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მახლობლად, სხვადასხვა სახისა და სპეციფიკის სამუშაოებს (წიაღით სარგებლობას, ელ.გადამცემი ხაზები მოწესრიგებას, გზის საფარის განახლებას ან/და სხვ.) ითანხმებს ჩვენი კომპანია და ამ მონაკვეთის საკუთრებაში არდარეგისტრირების შემთხვევაში, ეს შეუძლებელი გახდება და შესაბამისად მატარებლის ოპერირების შეექმნება საფრთხე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, წარმოდგენილი ფაქტი მიიღოთ მხედველობაში და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის №496 დადგენილებით დამტკიცებული „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულებისა" და გარემოსდაცვით სფეროში მოქმედი სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე უზრუნველყოთ აღნიშნულ ფართობებზე სახელმწიფო ტყის სტატუსის შეწყვეტის (ამორიცხვის) პროცედურის განხორციელება.

დანართები:

1.საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2731 განკარგულება;

2. Shape File-ები - CD დისკი.

პატივისცემით,

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი

ნინო ჯორბენაძე